საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიური ანგარიში

სარჩევი

შესავალი

I - ბიუჯეტირება

1. ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) შემდგომი განვითარება
2. ბიუჯეტის შესრულების და კონტროლის სრულყოფა

II - რესურსების მართვა

1. ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება
2. გადამხდელთა ინფორმირებულობის და საჯაროობის ამაღლება
3. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება
4. გადამხდელთა მომსახურების გამარტივება
5. გადამხდელთა ელექტრონული მომსახურების სისტემის განვითარება
6. საგადასახადო-საბაჟო პროცედურების დახვეწა, საერთო სტანდარტების დანერგვა
7. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მართვა
8. სასწავლო ცენტრი

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (IPSAS)
2. ინტეგრირებული სახელმწიფო ფინანსური საინფორმაციო სისტემის (PFMS) დანერგვა
3. საშუალოვადიანი კუპონური სახაზინო ობლიგაციების გამოშვება

IV - შიდა აუდიტი

1. შიდა აუდიტის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბება და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული სისტემის შექმნა
2. შიდა აუდიტის პროცედურების სრულყოფა და პრაქტიკული განხორციელებადობა

V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

1. საინფორმაცო ტექნოლოგიების გაუმჯობესება და განვითარება

VI - 2010 წლის დამტკიცებული სამოქმედო გეგმის იმ ღონისძიებების ნუსხა რომელთა შესრულებაც ვერ მოხერხდა 2010 წელს და/ან აღარ არის პრიორიტეტული

დანართი I

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2010 წელს განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანგარიში

დანართი II

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2010 წელს განხორციელებული ღონისძიებების წლიური ანგარიში

შესავალი

სახელმწიფო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმა საქართველოს მთავრობისათვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამის მაგალითია რეფორმების მთელი სპექტრი, რომელიც 2010 წელს განხორციელდა როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, ისე PFM-ის მონაწილე სხვა ინსტიტუტებში. 2010 წელს მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა საგადასახადო სფეროში; მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც გადამხდელთათვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნის მიზნით, გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები და შესაბამისად გაუქმდა საბაჟო კოდექსი. ასევე მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ყველა სხვა მიმართულებით (საბიუჯეტო რეფორმები, ხაზინის რეფორმირება და ა.შ.).

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიურ ანგარიშს, რომლის მიზანია სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემის ელემენტებთან დაკავშირებით (ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა და დამტკიცება, რესურსების მართვა, შიდა კონტროლი, აღრიცხვა და ანგარიშგება) 2010 წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების მიმოხილვა.

აღმიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშში მოცემულია რეფორმების სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, ამ ღონისძიებების შესრულების მაჩვენებლები, განხორციელების პერიოდი და თითოეული ღონისძიების შესრულების მდგომარეობა საანგარიშო პერიოდისთვის (იანვარი-დეკემბერი). ანგარიშში აღნიშნული მაჩვენებლების ჩართვა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის ხელშეწყობას და გარკვეული დაინტერესებული მხარეებისათვის რეფორმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ვინაიდან, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს განახლებად დოკუმენტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეფორმის პროცესის მოქნილობა წლის განმავლობაში მიმდინარე მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, დოკუმენტში მოცემულია აგრეთვე იმ ღონისძიებების ნუსხა, რომელთა შესრულებაც ვერ მოხერხდა 2010 წელს და/ან აღარ არის პრიორიტეტული. ასევე ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც დამტკიცებულ გეგმაში არ იყო გათვალისწინებული და რომლებიც განხორციელდა 2010 წელს.

შესაბამისად, 2010 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების გამჭვირვალობას.

წინამდებარე დოკუმენტს თან ერთვის აგრეთვე საქართველოს კონტროლის პალატისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებული 2010 წლის ანგარიშები PFM-ის რეფორმის ფარგლებში ამ ინსტიტუტების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემური სტრუქტურა

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემა წარმოადგენს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს:

- **ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა** – ეკონომიკური პოლიტიკის და ბიუჯეტის ურთიერთკავშირი. რესურსების საიმედო წყარო და ბიუჯეტით გამოყოფილი მაქსიმალური თანხები, რომელთა შესაბამისად სამინისტროებს და სხვა მომხმარებლებს, შეუძლიათ პრიორიტეტულად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობები ეროვნულ და სექტორულ დონეზე;

- **ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება** – პროცესი, რომლის დროსაც ხდება რესურსების განთავსება პრიორიტეტული დარგების მიხედვით;

- **რესურსების მართვა** – 1. ფინანსური რესურსები (შემოსავლების მობილიზაცია, სახელმწიფო ვალი და ნაღდი ანგარიშსწორება); 2. სახელმწიფო შესყიდვები; 3. პერსონალის მართვა და 4. ძირითადი აქტივების მართვა;

- **შიდა კონტროლი** – 1. ფინანსური რეგულირება და საკონტროლო პროცედურები; 2. რესურსების მართვის პროცედურების ეფექტიანობა და 3. ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის სისტემები და პროცედურები;

- **აღრიცხვა და ანგარიშგება** - ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვა, შეგროვება და ანგარიშგება.

- **გარე აუდიტი და ანგარიშვალდებულება** - უზრუნველყოფს მთავრობის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანოს და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დამოუკიდებელი შეფასების არსებობას.

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის ეფექტური სისტემისათვის აუცილებელია მთავრობის პოლიტიკის განმახორციელებელ და სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესებს შორის ძლიერი კავშირი. მასში შემავალი ცალკეული ელემენტები უნდა ხასიათდებოდეს კარგად დამუშავებული და ძლიერი შიდა პროცესების არსებობით და სხვა ელემენტებთან მყარი ურთიერთკავშირით.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის თებერვალში სახელმწიფო სექტორის ხარჯების შეფასების (PEFA) სამუშაო შეხვედრის დროს. პრეზენტაციის შემდგომ მოხდა დოკუმენტის სრულყოფა და დამტკიცება (აპრილი 2009). რეფორმის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი განვითარება და გაძლიერება. რეფორმის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება, საბიუჯეტო სისტემის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პროგნოზირება;
- სტრატეგიული მიდგომით რესურსების მიმართვა პოლიტიკურად და სტრატეგიულად პრიორიტეტულ საკითხებზე;
- რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;
- სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დოკუმენტის პარალელურად ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა 2009 წლის სამოქმედო გეგმა. 2009 წლის შემაჯამებელ ანგარიშში ხაზგასმულია რეფორმის ძირითადი შედეგები და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. აღნიშნული მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მოხდა 2009 წლის ოქტომბერში ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2010 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2010 წლის აპრილში, მას შემდეგ რაც განხილულ იქნა საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის კოორდინაცია და მონიტორინგი

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- რეფორმის სტრატეგიის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- რეფორმის სტრატეგიის შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადების ხელშეწყობა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია;
- რეფორმის სტრატეგიის და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგ;
- სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმების მიმართულებით საქართველოს კონტროლის პალატასა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების გარდა მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, კონტროლის პალატისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, დონორი ქვეყნების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

I - ბიუჯეტირება

1. ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) შემდგომი განვითარება

1.1 პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის განკარგულება პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის თაობაზე

პერიოდი: იანვარი - მარტი

პროგრესი: 2010 წლის 10 მარტს გამოიცა საქართველოს მთავრობის №284 განკარგულება "პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე". აღნიშნული განკარგულება მომზადდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად საქართველოს საბიუჯეტო პროცესში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის მიზნით. განკარგულება განსაზღვრავს პროგმული ბიუჯეტის დანერგვისათვის 2010, 2011 და 2012 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომელთა ზედამხედველობასა და გეგმის შესრულების საერთო კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების (BDD) დოკუმენტის ახალი ფორმატით შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: განახლებული BDD დოკუმენტი და მისი ახალ საბიუჯეტო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა

პერიოდი: მარტი - ივნისი

პროგრესი: დარგობრივ სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახალი საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ახალი ფორმატით მომზადდა 2011-2014 BDD დოკუმენტი. BDD დოკუმენტში ასახულია სამინისტროების და მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათ მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობები, მიზნები და შედეგები. აგრეთვე წარმოდგენილია აგრეგირებული მაჩვენებლები, სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. მომზადებული დოკუმენტი განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ყველა მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის პროექტის ელექტრონულ პროგრამაში შედგენა

პერიოდი: აპრილი - დეკემბერი

პროგრესი: 2010 წლის აპრილში დაიწყო მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის საინფორმაციო სისტემაზე, რომლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მართვის პროცესების ავტომატიზაციაში. მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის ელექტრონული დაგეგმვის მოდული. სექტემბრის ბოლოს, მხარჯავი დაწესებულებების მიერ შეყვანილი მონაცემების საფუძველზე ელექტრონულ სისტემაში მომზადდა და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი. აგრეთვე მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის მოდულის შემუშავებაზე.

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 პროგრამული ბიუჯეტის მომზადება დამატებით 3 სამინისტროსათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: დამატებით 3 სამინისტროს (1. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდულ საკითხთა სამინისტრო, 2. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და 3. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) 2011 წლის პროგრამული ბიუჯეტის წარდგენა პარლამენტში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მიზნით, თითოეულ სამინისტროში შექმნილმა შიდა სამუშაო ჯგუფმა და ფინანსთა სამინისტროს სამუშაო ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავეს თითოეული პროგრამის აღწერა, მიზანი, მოსალოდნელი შედეგი, შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები. შეავსეს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია და შეაფასეს ხარჯები, რომლებიც შემდგომ აისახა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში. სამივე სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული პროგრამული ბიუჯეტის ფორმატისა და მისი შევსების ინსტრუქციების მიხედვით მოამზადა პროგრამული ბიუჯეტები ერთიან ფორმატში და პროგრამული ბიუჯეტების პირველადი ვარიანტები განსახილველად წარუდგინეს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტს.

მომზადებული 2011 წლის პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტები წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში 2011 წლის ბიუჯეტის საბოლოო კანონპროექტთან ერთად 2010 წლის დეკემბერში.

შენიშვნა : დასრულებულია

1.5 კაპიტალური ბიუჯეტის მომზადება დამატებით ერთი თვითმმართველი ქალაქისათვის – ქ. თბილისი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: თვითმმართველი ქალაქი თბილისის მიერ მომზადებული 2011 წლის კაპიტალური ბიუჯეტის წარდგენა ფინანსთა სამინისტროში

პერიოდი: მარტი - დეკემბერი

პროგრესი: 2011 წლის კაპიტალური ბიუჯეტის მომზადების მიზნით, თბილისის მერიასა და ფინანსთა სამინისტროში შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა ერთობლივად შეიმუშავეს კაპიტალური ბიუჯეტის განაცხადის ფორმა და ფორმატი. მომზადებული კაპიტალური ბიუჯეტი ქალაქ თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად წარედგინა ქალაქ თბილისის საკრებულოს და ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის დეკემბერში.

შენიშვნა : დასრულებულია

2. ბიუჯეტის შესრულების და კონტროლის სრულყოფა

2.1 საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ბაზის განახლება და გაფართოვება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 112 სსიპ-ის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშგება

პერიოდი: კვარტალურად

პროგრესი: 2009 წელთან შედარებით 27-დან 112-მდე გაიზარდა იმ სსიპ-ის რაოდენობა, რომლებიც თავიანთი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შესაბამისად, 112 სსიპ-ის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების 3 თვის, 6 თვის და 9 თვის ანგარიშები წარდგენილ იქნა პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებთან ერთად.

შენიშვნა : დასრულებულია

2.2 „საბიუჯეტო კოდექსის“ ამოქმედებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება და/ან არსებულში ცვლილებების შეტანა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის/ფინანსთა სამინისტროს სამართლებრივი აქტები

პერიოდი: იანვარი - ოქტომბერი

პროგრესი:
- საქართველოს მთავრობის დადგენილება “ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ” (№52, 23 თებერვალი 2010 წელი);
- საქართველოს მთავრობის განკარგულება “პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე” (№284, 10 მარტი 2010 წელი);
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება “სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე” (№340, 30 აპრილი 2010 წელი);
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე” (№514, 24 ივნისი 2010 წელი);
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება “საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე” (№672, 25 აგვისტო 2010 წელი).

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად საჭირო ფორმების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: იანვარი - თებერვალი

პროგრესი: მომზადდა და 2010 წლის 12 თებერვალს გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №91 ბრძანება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მდგომარეობის შესახებ წარმოსადგენი ფორმების დამტკიცების თაობაზე".

შენიშვნა: დასრულებულია

2.4 ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: იანვარი - მაისი

პროგრესი: შემუშავდა და გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის №340 ბრძანება "სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე".

შენიშვნა: დასრულებულია

2.5 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მსხვილი სსიპ-ების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს პარლამენტში წარდგენილი 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

პერიოდი: იანვარი - მარტი

პროგრესი: 2010 წლის I კვარტალში საქართველოს პარლამენტში, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად წარდგენილ იქნა მსხვილი სსიპ-ების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებიც. აღნიშნული ანგარიშების მომზადების პროცესში საბიუჯეტო დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ-ების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან.

შენიშვნა: დასრულებულია

2.6 პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანერგვასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული სამუშაო შეხვედრები/კონსულტაციები

პერიოდი: აპრილი - დეკემბერი

პროგრესი: პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ფინანსთა სამინისტროში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოაწყო შეხვედრები შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან. კონსულტაციები გაწეულ იქნა აგრეთვე ინდივიდუალურ ფორმატშიც.

შენიშვნა: დასრულებულია

2.7 საბიუჯეტო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით სამინისტროების და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ტრეინინგები/შეხვედრები

პერიოდი: აპრილი - სექტემბერი

პროგრესი: საბიუჯეტო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობისა და 2011 წლის ბიუჯეტის მომზადების დროს მათი გათვალისწინების მიზნით, საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოაწყვეს შეხვედრები და ტრეინინგები ჩაუტარდათ სამინისტროების და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებს.

შენიშვნა: დასრულებულია

II - რესურსების მართვა

1. ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება

1.1 ინიცირებული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებების პარაფირება და ხელმოწერა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პარაფირებული და ხელმოწერილი ხელშეკრულებები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

ძალაში შესული ხელშეკრულებები - 2010 წლის 28 ივნისს ძალაში შევიდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება სინგაპურთან, 2010 წლის 1 ივნისს საფრანგეთთან, 2010 წლის 2 თებერვალს თურქეთთან, 2010 წლის 6 ივნისს ირლანდიასთან. (დაბეგვრასთან და შედავათებით სარგებლობასთან დაკავშირებული მუხლები ძალაში შევა 2011 წლის 1 იანვრიდან)

რატიფიციცირებული და ხელმოწერილი ხელშეკრულებები - 2010 წელს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა ესპანეთთან, შვეიცარიასთან, ქუვეითთან, ისრაელთან და ეგვიპტესთან, ასევე რატიფიცირებულ იქნა ცვლილებების ოქმი ესტონეთთან და დიდ ბრიტანეთთან. 2010 წლის 24 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან და 20 დეკემბერს კატარის სახელმწიფოსთან.

პარაფირებული ხელშეკრულებები - ბაჰრეინი, კვიპროსი, ინდოეთი, სლოვენია და სლოვაკეთი, ასევე ცვლილებების ოქმი - ლატვიასთან.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 საგადასახადო დავებთან დაკავშირებული საქმეების ავტომატიზებული მართვის სისტემის დანერგვა შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ ოფისებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: დავების განხილვის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: იანვარი - ოქტომბერი

პროგრესი: გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1000 ბრძანება "ელექტრონული ფორმით მიმოწერის/საგადასახადო დეკლარირების და ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების წესის შესახებ" (ცვლილებები შევიდა 16.08.2007 წლის ბრძანებაში), რომელმაც სამართლებრივად დაარეგულირა ავტომატიზებული მართვის სისტემის პრაქტიკის დანერგვა. ავტომატიზებული სისტემა ამოქმედდა და მისი მეშვეობით გადასახადების გადამხდელთა მიერ საგადასახადო დავის დაწყება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატი სისტემას იყენებს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული სისტემა დაინერგა ასევე საქართველოს 9 ძირითადი ქალაქის რეგიონულ ცენტრში.

შენიშვნა: დასრულებულია

2. გადამხდელთა ინფორმირებულობის და საჯაროობის ამაღლება

2.1 საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტების და ბროშურების გამოცემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი, საფინანსო აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: ბროშურები:
- საგადასახადო კოდექსი;
- საერთაშორისო ფინანსური კომპანია;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონები;
- მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირისათვის რეზიდენტობის სტატუსის მინიჭება;
- თავისუფალი საწყობის მოწყობა;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გამოიცა ბროშურები ახალი საგადასახადო კოდექსი, საერთაშორისო ფინანსური კომპანია, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, თავისუფალი საწყობის მოწყობა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები.

მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირისათვის რეზიდენტობის სტატუსის მინიჭებაზე ბროშურა მომზადებულია და ჯერ არ არის გამოცემული.

შენიშვნა: დასრულებულია

3. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

3.1 საგადასახადო დავების სისტემის მარეგულირებელი პროცედურების სრულყოფა, გაერთიანება და გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: დავების განხილვის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დავების განმხილველი ორგანოების ახალი რეგლამენტის პროექტის შემუშავება

პერიოდი: აპრილი - დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურმა შეიმუშავა დავის განმხილველი ორგანოს ახალი რეგლამენტის პროექტი.

შენიშვნა: დასრულებულია

3.2 საგადასახადო დავების ინვენტარიზაცია, შესაძლო საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვირს მიზნით ხშირი და განმეორებითი საქმეების გამოვლენა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: დავების განხილვის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ავტომატიზებული მართვის სისტემის სტატისტიკის მოდულის შემუშავება

პერიოდი: იანვარი – ოქტომბერი

პროგრესი: შემუშავდა სისტემის მოდული, რომელიც ავტომატურ რეჟიმში იდენტიფიცირებას უკეთებს განმეორებით დავებს. ასევე ახალი რეგლამენტის პროექტის არსებული რედაქციის თანახმად, დავების განმხილველი ორგანოები ვალდებულნი იქნებიან წარადგინონ რეგულარული ანგარიშები აღმოჩენილი სამართლებრივი ხარვეზებისა და განმეორებითი დავების შესახებ.

შენიშვნა: დასრულებულია

3.3 საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: კანონპროექტი "საგადასახადო დავალიანებებისა და რესტრუქტურიზაციის შესახებ"

პერიოდი: აპრილი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულია კანონპროექტი "საგადასახადო დავალიანებებისა და რესტრუქტურიზაციის შესახებ", რომელიც ითვალისწინებს საწარმოების მიერ რესტრუქტურიზაციის რეჟიმის მისაღებად კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის შემცირებას, ამჟამინდელ კანონში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანი რედაქციების გასწორებას და არსებული პროცედურების გამარტივებას.

შენიშვნა: დასრულებულია

3.4 საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის რეფორმირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:
- ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი ახალი ცნებების შემოღებას:
    - მცირე და მიკრო ბიზნესი;
    - წინასწარი გადაწყვეტილება;
    - პრინციპი ,,Good Faith";
    - პირადი საგადასახადო აგენტი;
    - საგადასახადო ომბუდსმენი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი (კანონი №3591 17.09.2010), რომლის მიხედვითაც გადამხდელთათვის ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნის მიზნით, გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები და შესაბამისად გაუქმდა საბაჟო კოდექსი;
ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებიდან გამომდინარე მომზადდა მთავრობის დადგენილებები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები;
საგადასახადო კონტროლის პროცედურების მარეგულირებელი ქვენორმატიული აქტები გაერთიანდა ერთ ქვენორმატიულ დოკუმენტში. ასევე სასაქონლო ოპერაციების მარეგულირებელი ქვენორმატიული აქტები გაერთიანდა ერთ ქვენორმატიულ დოკუმენტში.
მიღწეული შედეგები: გადასახადის გადამხდელს უფლება მიეცა წინასწარ ოპერაციის განხორციელებამდე მიმართოს საგადასახადო ორგანოს, რომელსაც ექნება წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღების უფლება. თუკი წინასაწარი გადაწყვეტილების გამოყენებისას პირს წარმოეშვა საგადასახადო ვალდებულება სანქცია არ დაერიცხება;
გადასახადის გადამხდელს უფლება მიეცა ისარგებლოს პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებით;
შემოღებულ იქნა იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესი, რომლის შესაბამისადაც პირს, რომელმაც 12 უწყვეტი თვის განმავლობაში ბიუჯეტში დღგ-ის სახით გადაიხადა 200 000 ლარზე მეტი, შეუძლია გადავიდეს დაბეგვრის სპეციალურ წესზე და იმპორტის განხორციელების დროს არ გადაიხადოს დღგ. ამავდროულად მიიჩნევა, რომ მან დასაბეგრი იმპორტის მიხედვით განსაზღვრულ საქონელზე მიიღო ჩათვლა;
გადასახადის გადამხდელისათვის გაადვილდა დავების განხილვის საბჭოში საგადასახადო მოთხოვნის/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების პროცედურა;
მიკრო და მცირე ბიზნესის შემოღებით ფიზიკურ პირი მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭების შემდეგ 30 000 ლარის შემოსავლების ფარგლებში არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით, ხოლო მიღებული შემოსავლების მინიმუმ 60%-ის ოდენობით ხარჯების დადასტურების შემთხვევაში, 3%-იანი განაკვეთით.
მოსალოდნელი შედეგები: საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და არსებული რეალობის გათვალისწინებით არსებული სისტემის დახვეწა და ოპტიმიზაცია;
ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტის შექმნა, რომელშიც გაწერილია, საზღვრის გადაკვეთიდან დაწყებული ლიკვიდაციით დასრულებული, გადასახადის გადამხდელი საქმიანობის მარეგულირებელი ყველა საგადასახადო პროცედურა თუ ნორმა;
მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
გადამხდელთა უფლებების დაცვა.

შენიშვნა: დასრულებულია

4. გადამხდელთა მომსახურების გამარტივება

4.1 ფიზიკური პირების მიერ იმპორტირებულ საქონელზე დეკლარაციების და დეკლარირების პროცედურების გამარტივება (ელექტრონული დეკლარირება, ფორმა №4)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დეკლარაციის ფორმა №4 ივსება საზღვრის გადაკვეთის ადგილებზე

პერიოდი: ივლისი - აგვისტო

პროგრესი: დაინერგა ახალი საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ფიზიკური პირების მიერ იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა განხორციელდეს გზავნილის ჩამოსვლისთანავე. გამარტივდა ფიზიკური პირის მიერ იმპორტირებულ საქონელზე დეკლარაციის წარდგენის და დეკლარირებული თანხის გადახდის მექანიზმი. საწყობში საქონლის აღრიცხვის სისტემის შექმნამ გააიოლა და საგრძნობლად გაამარტივა საბაჟო გამშვებ პუნქტებში იმპორტირებული საქონლის გაცემა.

შენიშვნა: დასრულებულია

4.2 ფიზიკური პირებისათვის საქონლის ექსპორტის პროცედურების გამარტივება (15 000 ლარამდე ღირებულების საქონელი განთავისუფლდება დეკლარირების ვალდებულებისაგან)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: იანვარი - თებერვალი

პროგრესი: გადამხდელთათვის მომსახურების გამარტივების მიზნით, განხორციელდა ფიზიკური პირების მიერ იმპორტირებულ საქონელზე დეკლარაციების და დეკლარირების პროცედურების გამარტივება და ელექტრონული დეკლარირების შემოღება.

ფიზიკური პირი (დეკლარანტი) ან მისი წარმომადგენელი შესაძლებელია, დაშვებულ იქნას საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებულ სისტემა „ASYCUDA"-ში, რომლის საშუალებითაც მას შესაძლებლობა ეძლევა დეკლარირება განახორციელოს თავისი სახელით. ასევე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილით შემოტანილი 10 000 ლარზე ნაკლები ღირებულების საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებისას ან/და რეგისტრირებული დეკლარაციის შემოწმების განხორციელებისას, პირის (გზავნილის მიმღების) წარმომადგენლობას ახორციელებს საფოსტო გზავნილის გადამზიდველი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებით დამტკიცებულ „საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციაში" შეტანილ იქნა დამატებები და განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც ფიზიკური პირიც უფლებამოსილია, ისარგებლოს გამარტივებული საბაჟო პროცედურებით.

გამარტივდა ფიზიკური პირის მიერ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის დეკლარირების პროცედურებიც. კერძოდ, 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირება შესაძლებელი გახდა ზეპირი ფორმით. ამასთან, ფიზიკურ პირს უფლება აქვს, აღნიშნული საქონლის დეკლარირება სურვილისამებრ განახორციელოს სასაქონლო ზედნადების ან სატვირთო საბაჟო დეკლარაციის ფორმა №4-ის წარდგენით. „სატვირთო საბაჟო დეკლარაციის ფორმა №4-ით" (გამარტივებული ფორმა) შესაძლებელია აგრეთვე, საქართველოდან მუდმივსაცხოვრებლად გასვლისას პირადი ნივთების (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), ავეჯისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის დეკლარირება.

შენიშვნა: დასრულებულია

4.3 საბაჟო ორგანოების მიერ წარმოშობის სერთიფიკატების გაცემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა

პერიოდი: მაისი - აგვისტო

პროგრესი: გადამხდელთათვის მომსახურების გამარტივებისა და გადამხდელთა ელექტრონული მომსახურების სისტემის განვითარების მიზნით, დასრულდა წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა და დაიწყო საბაჟო ორგანოების მიერ წარმოშობის სერთიფიკატების გაცემა.

შენიშვნა: დასრულებულია

4.4 დროებით შემოტანილ საქონელზე პროცედურების გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: "საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციასთან მიერთება

პერიოდი: იანვარი - მარტი

პროგრესი: „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" 1990 წლის 26 ივნისის სტამბოლის კონვენცია არეგულირებს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებითი შემოტანის და ტრანზიტის პროცედურებს მაქსიმალურად გამარტივებული წესით. დღეისათვის ATA-კარნეტის სისტემა გამოიყენება მსოფლიოს 63 ქვეყანაში;

ATA-კარნეტი ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი არის ისეთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან. საქონლის დროებითი შემოტანის დროს ATA-კარნეტის წარმოდგენის შემთხვევაში, დეკლარანტი არ არის ვალდებული წარმოადგინოს საბაჟო გარანტია და სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რაც აიოლებს და აჩქარებს საბაჟო დამუშავების პროცედურებს;

ATA-კარნეტის სისტემის დანერგვა საქართველოში ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოფენებსა და პრეზენტაციებზე თანამედროვე და ძვირადღირებული დანადგარების, სამშენებლო-სამონტაჟო მანქანებისა და მოწყობილობების დროებით შემოტანას.

"საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" კონვენცია აღიარებულია გაეროს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნულ სისტემასთან მიერთება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში მიმზიდველი საინვესტიციო-საგამოფენო კლიმატის შექმნას.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა კონვენციასთან მიერთებისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 12 თებერვალს გამოსცა დადგენილება "საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" კონვენციასთან შეერთების თაობაზე. საქართველოსთვის კონვენცია ძალაშია 2010 წლის 1 ივლისიდან.

შენიშვნა: დასრულებულია

4.5 წინასწარი საბაჟო გადაწყვეტილების და წინასწარი დეკლარირების ინსტიტუტის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საქონლის შემომტანი ზოგიერთი კომპანიები შემოსავლების სამსახურს წინასწარ წარუდგენენ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას

პერიოდი: მარტი - აგვისტო

პროგრესი:

ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №959 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დებულებების შესაბამისად ამოქმედდა სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი საბაჟო გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი. აღნიშნული ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელს დეკლარაციის შევსებისას განსაზღვროს სასაქონლო კოდი ან წარმოშობის ქვეყნა. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განისაზღვრა სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის უნიფიცირებული ფორმები, რომელსაც გამოსცემს შემოსავლების სამსახური.

ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით (№1760, №1232) დაშვებულ იქნა დებულებები, რომელთა თანახმადაც საქონლის შემოტანამდე გადამხდელს შეუძლია წარმოადგინოს საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის საბაჟო ორგანოში მიუსვლელად - ელექტრონულად, რაც დააჩქარებს საქონლის გაფორმების პროცედურებს.

შენიშვნა: დასრულებულია

4.6 მსხვილი გადამხდელებისათვის პირადი საგადასახადო აგენტის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება

პერიოდი: იანვარი - სექტემბერი

პროგრესი: 2010 წლის 21 ივნისს გამოიცა შემოსავლების სამსახურის უფროსის №793 ბრძანება "პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურების, ხელშეკრულების ფორმის დამტკიცებისა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ". პირადი საგადასახადო აგენტის მიზანია საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა, რაც გაამარტივებს საგადასახადო ორგანოსთან ბიზნესმენების ურთიერთობას. ძალიან მოკლე ვადაში ხდება ბიზნესმენებისათვის კონსულტაციების გაწევა, მათ ასევე ეცნობებათ საგადასახადო შედავათების არსებობის თაობაზე, საგადასახადო კანონმდებლებაში ცვლილებების თაობაზე ასევე, ხდება გადამხდელის ინტერესების დაცვა საგადასახადო ურთიერთობებისას, საგადასახადო კოდექსის 47^1 მუხლით მინიჭებული უფლებების ფარგლებში. ასევე ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით ხორციელდება გადამხდელისათვის ნებისმიერ პრობლემატურ საკითხზე საგადასახადო ორგანოსა და შემოსავლების სამსახურის პოზიციის მიწოდება. ასევე, კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის მოძიებაში და მიღებაში დახმარება. საგადასახადო ანგარიშგების ფორმების (მათ შორის ელექტრონული ფორმების) შევსებაში ტექნიკური კუთხით დახმარება, ასევე შესრულებული საგადასახადო ვალდებულების პირადი აღრიცხვის ბარათზე დროულად და სრულად ასახვის გაკონტროლება და სხვა მხარდაჭერა. სისტემა სრულად ამოქმედდა 2010 წლის ოქტომბრიდან.

შენიშვნა: დასრულებულია

5. გადამხდელთა ელექტრონული მომსახურების სისტემის განვითარება

5.1 ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის პროცედურების ასახვა ელექტრონულ მონაცემთა სისტემაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარულ-საკარანტინო კონტროლის პროცედურებით მოთხოვნილი დოკუმენტები ივსება ელექტრონულად და მიბმულია შესაბამის ელექტრონულ სატრანსპორტო დოკუმენტზე

პერიოდი: ივნისი

პროგრესი: შეიქმნა და დაინერგა

შენიშვნა: დასრულებულია

5.2 ლიცენზიებსა და ნებართვებზე სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის Tracker Systems-ის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სპეციალური ნებართვები ივსება სისტემა TRACKER - ის მეშვეობით

პერიოდი: მარტი - აპრილი

პროგრესი: სერვერი კონფიგურირებულია. პროგრამა დაინსტალირდა ეკონომიკური და მდგრადი განვითარების, თავდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში. დასრულდა ტესტირება და პროგრამა ამოქმედდა.

შენიშვნა: დასრულებულია

5.3 გადასახადის გადახდა ელექტრონულად (ბარათით)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: თანხის გადახდა ვებ გვერდიდან.

პერიოდი: მარტი - აპრილი

პროგრესი: დაინერგა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდიდან პლასტიკური ბარათის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდების სისტემა. ასევე, დაინერგა სერვისები კონკრეტული რეგულარული გადარიცხვებისათვის.

შენიშვნა: დასრულებულია

5.4 შემოსავლების სამსახურსა და საჯარო რეესტრს შორის ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მონაცემთა გაცვლის ელექტრონული სერვისი

პერიოდი: იანვარი - თებერვალი

პროგრესი: ამოქმედდა საჯარო რეესტრთან მონაცემების გაცვლის ელექტრონული სერვისი, რომლის საშუალებით მომენტალურად ხორციელდება საჯარო რეესტრიდან დარეგისტრირებულ გადამხდელთა შესახებ მონაცემების მიღება და შემოსავლების სამსახურიდან ქონების გირავნობა/იპოთეკის უფლებაზე დატვირთვის შესახებ გირავნობის დადების და მოხსნის შესახებ მონაცემების რეგისტრაცია. აღნიშნული სისტემა ამარტივებს მანამდე არსებულ გირავნობის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების პროცედურებს და იძლევა მონაცემების ოპერატიული გაცვლის საუკეთესო საშუალებას.

შენიშვნა: დასრულებულია

5.5 წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: წარმოშობის სერთიფიკატები გაიცემა სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

პერიოდი: აპრილი

პროგრესი: შეიქმნა და სათანადო უწყებებში დაინერგა ერთიანი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა. აღნიშნული სისტემა ამარტივებს, როგორც სერტიფიკატების გაცემის პროცედურას, ასევე ოპერატიულად ხელმისაწვდომს ხდის შესაბამისი უწყებებისათვის ნაერთ მონაცემებს გაცემული სერტიფიკატების შესახებ.

შენიშვნა: დასრულებულია

5.6 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ელექტრონულად შევსება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სისტემის დანერგვა

პერიოდი: აპრილი - ნოემბერი

პროგრესი: შემუშავდა და www.rs.ge ვებ-გვერდზე ამოქმედდა ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შევსება, მყიდველისათვის გადაცემა (ვებ-პორტალზე გაგზავნა) და დეკლარირებისას წარდგენა ელექტრონულ დეკლარაციასთან ერთად საგადასახადო ორგანოში. ამასთან ერთად შემუშავდა დამატებით პროგრამული მოდული, რომელიც მისცემს საშუალებას გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შეავსოს და გადაგზავნოს მყიდველთან სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფიდან (მაღაზია, ფილიალი). აღნიშნული სისტემა ამარტივებს საგადასახადო პროცედურებს,

ა/ფაქტურის ელექტრონული შევსება მინიმუმამდე ამცირებს შეცდომის და ა/ფაქტურის გაყალბების ალბათობას. ხელს უწყობს ბიზნეს პროცესს.

შენიშვნა: დასრულებულია

5.7 სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის ფორმატების ელექტრონული დამუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული პროგრამის შექმნა

პერიოდი: სექტემბერი - ოქტომბერი

პროგრესი: პროგრამის შექმნა დასრულებულია.

შენიშვნა: დასრულებულია

5.8 საბაჟო გამშვებ პუნქტებზე რისკების მართვის სიტემის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: რისკების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება

პერიოდი: ივლისი - აგვისტო

პროგრესი: საბაჟო გამშვებ პუნქტებზე რისკის მართვის სისტემა მოიცავს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გადაადგილებული ფიზიკური პირებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის რისკების განსაზღვრას, სისტემაში შეტანას და მათ მონიტორინგს. სისტემის ამოქმედების მიზანია მაქსიმალურად შემცირდეს დაბალი რისკის მქონე ფიზიკური პირების და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, კონკრეტული ღონისძიებები განისაზღვროს და გატარდეს მხოლოდ მაღალი რისკის მქონეთათვის. აღნიშნული სიტემის ამოქმედება ხელს შეუწყობს საბაჟო გამშვები პუნქტების გამტარიანობის ზრდას, თანამედროვე კონტროლის ღონისძიებების ამოქმედებას და სუბიექტივიზმის აღმოფხვრას. საანგარიშო პერიოდში სისტემა შემუშავდა და იგი სრულად ამოქმედდება 2011 წლის პირველ ნახევარში.

შენიშვნა: დასრულებულია

5.9 საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების ადგილებზე, კომპიუტერული სისტემა „ASYCUDA World''-ის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ყველა პუნქტი მუშაობს „ASYCUDA World''-ით

პერიოდი: იანვარი - ნოემბერი

პროგრესი: 9 თვის ნაცვლად დასრულდა 4 თვეში

შენიშვნა: დასრულებულია

5.10 ადმინისტრირების გაძლიერება გადასახადების არგადამხდელთა და დეკლარაციის არწარმომდგენთა მოდულის შექმნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადების არგადამხდელთა და დეკლარაციის არწარმომდგენთა მოდულების შექმნა (ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სისტემა)

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჩამოყალიბებულია ორი ტიპის მოდული: მოდული იმ პირების შესახებ, რომლებიც კანონით დადგენილ ვადებში არ ასრულებენ საგადასახადო ვალდებულებებს და წარმოუდგენელი დეკლარაციების მოდული.

იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებიც კანონით დადგენილ ვადებში არ ასრულებენ საგადასახადო ვალდებულებებს და ერიცხებათ დავალიანებები, დღეის მდგომარეობით დანერგილია შემოსავლების სამსახურსა და საჯარო რეესტრს შორის გირავნობა/იპოთეკის წარმოშობისა და გაუქმების შესახებ შეტყობინებების ელექტრონული ფორმით გაცვლის სისტემა. ასევე, დანერგილია შემოსავლების სამსახურსა და 15 საბანკო დაწესებულებას შორის საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ, ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სისიტემაც.

ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სისიტემის დანერგვის შემდგომ თითქმის სრულიად გამოირიცხა შემოსავლების სამსახურსა და აღნიშნულ კომერციულ ბანკებს შორის მატერიალური სახის დოკუმენტების მიმოცვლა. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახურს (რეგიონული ცენტრები) შესაძლებლობა მიეცა ძალიან მცირე დროის პერიოდში საბანკო დაწესებულებებს მიაწოდოს ინფორმაცია ელექტრონული სახის საინკასო დავალებების (წარდგენა, შეჩერება, გამოთხოვა) შესახებ და დავალიანების მქონე გადამხდელების საბანკო ანგარიშებიდან ჩამოჭრას ბიუჯეტის კუთვნილი თანხები. ასევე, ბანკებიც მოკლე დროში ღებულობენ ინფორმაციას გადამხდელების მიერ პირველად გახსნილი ანგარიშის დადასტურების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს ბანკის კლიენტებს განვლილ პერიოდთან შედარებით სწრაფად განკარგონ მათ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები (ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შემთხვევაში).

წარუდგენელი დეკლარაციების მოდული მოიცავს:

– იმ გადამხდელთა ელექტრონულ აღრიცხვას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოში არ წარუდგენიათ კუთვნილი დეკლარაციები;
– ზემოაღნიშნულ გადამხდელთა მიმართ, დეკლარაციის წარმოუდგენლობის მიზეზების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნას;
– შესაბამისი გარემოებების არსებობისას გადამხდელთა მიმართ სავარაუდო დარიცხვების განხორციელებას.

შენიშვნა: დასრულებულია

5.11 გდამხდელთა პორტალის განვითარება, ოპტიმიზაცია და მხარდაჭერა, პორტალში ახალი ელექტორნული სერვისების ჩაშენება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:
- მოთხოვნების ელქტრონული ფორმით წარმოდგენის სერვისი;
- საგადასახადო საჩივრების ელექტრონულად წარდგენა;
- აქციზური მარკების მიწოდება;
- დღგ-ს სტანდარტული და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურების ფორმების მიწოდება;
- ბიუჯეტში ზედმეტობით გადახდილი თანხების დაბრუნება;
- საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია.

პერიოდი: წლის განმავლობაში

პროგრესი: შემუშავდა და www.rs.ge ვებ-გვერდზე ამოქმედდა განცხადებების და მოთხოვნების საგადასახადო ორგანოში ელექტრონულად წარდგენის სისტემა, რომლის მეშვეობითაც წარმატებით ხორციელდება საგადასახადო ორგანოდან მომსახურების სერვისების მიღება. გადასახადის გადამხდელს ვებ-გვერდზე შესვლით შეუძლია შეარჩიოს განაცხადის ტიპი. მაგალითად, „რეგისტრაცია“ განცხადების ტიპის არჩევის შემთხვევაში, გადამხდელს ელექტრონულად შეუძლია მოახდინოს მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭებაზე განაცხადის წარდგენა და სტატუსის მიღება; ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტების რეგისტრაცია. განცხადებების სხვა ტიპებში შემოთავაზებული სერვისები შეგიძლიათ იხილოთ www.rs.ge –ზე.

შენიშვნა: დასრულებულია

5.12 საჯარო მოხელეებისათვის ქონების წლიური დეკლარაციის ელექტრონული ფორმით წარდგენის სისტემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: www.mof.ge

პერიოდი: მარტი - მაისი

პროგრესი: www.mof.ge ვებ-გვერდიდან შესაძლებელი გახდა საჯარო მოხელეებისათვის ქონების წლიური დეკლარაციის შევსება და წარდგენა საგადასახადო ორგანოში, აღნიშნულმა სისტემამ მაქსიმალურად გაამარტივა დეკლარაციის შევსების და ცნობის აღების პროცედურა, ვებ გვერდიდან ასევე შესაძლებელია აღნიშნული დეკლარაციის შესახებ ინფორმაციის მიღება.

შენიშვნა: დასრულებულია

6. საგადასახადო-საბაჟო პროცედურების დახვეწა, საერთო სტანდარტების დანერგვა

6.1 საგადასახადო ორგანოების პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემოსავლების სამსახურის ბრძანებები პროცედურული სახელმძღვანელოების დამტკიცების თაობაზე

პერიოდი: ივლისი - დეკემბერი

პროგრესი:
- სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების, მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტებისა და აუდიტისათვის დამტკიცდა შემდეგი პროცედურული სახელმძღვანელოები:

1. პროცედურული სახელმძღვანელო "ქრონომეტრაჟის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 აგვისტოს №1552 ბრძანება);
2. პროცედურული სახელმძღვანელო "პირადი საგადასახადო აგენტის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 აგვისტოს №1553 ბრძანება);
3. პროცედურული სახელმძღვანელო "სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 23 აგვისტოს №1554 ბრძანება);
4. პროცედურული სახელმძღვანელო "ყადაღის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 სექტემბრის №1745 ბრძანება);
5. პროცედურული სახელმძღვანელო "მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 სექტემბრის №1746 ბრძანება);
6. პროცედურული სახელმძღვანელო "საინკასო დავალების" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 სექტემბრის №1748 ბრძანება);
7. პროცედურული სახელმძღვანელო "ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 სექტემბრის №1749 ბრძანება);
8. პროცედურული სახელმძღვანელო "გადასახადების მიხედვით ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 16 სექტემბრის №1750 ბრძანება);

- სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების და სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულებისათვის დამტკიცდა:

9. პროცედურული სახელმძღვანელო "საკონტროლო შესყიდვის" დამტკიცების შესახებ (შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 9 აგვისტოს №1408 ბრძანება);

შენიშვნა: დასრულებულია

7. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მართვა

7.1 ელექტრონული აუქციონის სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული აუქციონის სისტემის შექმნა და ამოქმედება www.eauction.ge ვებ-გვერდზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და www.eauction.ge ვებ-გვერდზე ამოქმედდა ელექტრონული აუქციონის სისტემა, რომლის მეშვეობითაც წარმატებით ხორციელდება მიქცეული მოძრავი ქონების რეალიზაცია. ამასთან, მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სისტემის განახლებასა და გაუმჯობესებაზე. სისტემას პერიოდულად

ემატება ახალი ფუნქციები და სერვისები. მომსახურების სააგენტომ შესთავაზა სისტემის მომხმარებლებს ადგილზე მიტანის უფასო სერვისი, უფასო სადებეტო ბარათის შეკვეთა პირდაპირ საიტიდან და ქონების საფასურის გადახდა ონლაინ რეჟიმში, რათა მაქსიმალურად კომფორტული გაეხადა ქონების შეძენის პროცედურა. მარტიდან დეკემბრამდე სისტემაში დარეგისტრირდა 2000–ზე მეტი მომხმარებელი და საიტი არის რეიტინგული. დღეში საიტს სტაბილურად სტუმრობს 1500-დან 2500-მდე მომხმარებელი.

შენიშვნა: დასრულებულია

7.2 სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეესტრი ელექტრონულ პროგრამაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ქონების რეესტრის ელექტრონული პროგრამის დანერგვა და წარმოება

პერიოდი: იანვარი - ივნისი

პროგრესი: შეიქმნა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეესტრის ელექტრონული პროგრამა, რომელშიც სრულად არის ასახული 2005-2010 წლის რეესტრის მონაცემები. მონაცემთა მიგრაცია დასრულდა 2010 წლის ივნისში. აგრეთვე ყოველდღიურად ხორციელდება მიმდინარე ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ პროგრამაში.

შენიშვნა: დასრულებულია

7.3 საქმისწარმოების ერთიანი პროგრამის (Enterprise Resource Planning) დანერგვა (დამატებულია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საქმისწარმოების ერთიანი პროგრამის დანერგვა

პერიოდი: აგვისტო - დეკემბერი

პროგრესი: 2010 წლის აგვისტოდან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ერთიანი საქმისწარმოების პროგრამის (Enterprise Resource Planning) დანერგვაზე, რომელიც აერთიანებს კანცელარიას, ბუღალტერიას, საცალო ვაჭრობას, საწყობს, კადრებს, რეესტრს და შესყიდვებს, პროგრამის დახმარებით სააგენტოში განხორციელდება მიმდინარე სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია, უნიფიკაცია და რესურსების ოპტიმიზაცია.

შენიშვნა: დასრულებულია

7.4 ინტერნეტ მაღაზია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ინტერნეტ მაღაზიის ამოქმედება

პერიოდი: სექტემბერი - ოქტომბერი

პროგრესი: სექტემბერში დაიწყო ინტერნეტ მაღაზიის სისტემაზე მუშაობა და სისტემა სრულად ამოქმედდა ნოემბრიდან. აღნიშნული პროექტი კიდევ უფრო გაამარტივებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს.

შენიშვნა: დასრულებულია

7.5 ქონების განკარგვის საჯაროობის უზრუნველსაყოფად შოურუმის მოწყობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: შოურუმის ამოქმედება თბილისსა და რეგიონებში

პერიოდი: იანვარი - ნოემბერი

პროგრესი: ივლისის თვეში თბილისში მუხიანში მდებარე ფინანსთა სამინისტროს ბაზა №2-ში მოეწყო შოურუმი, სადაც ხორციელდება დაინტერესებული პირების მიერ ქონების დათვალიერება და აგრეთვე ექსპერტების მიერ ქონების შეფასება. ნოემბრის ბოლოს შოურუმები მოეწყო რეგიონალურ სასაწყობე მეურნეობებში (ახალციხე, სამტრედია). აღნიშნულის შედეგად, მომხმარებლებს შეექმნათ კომფორტული გარემო, რაც ხელს უწყობს ქონების ეფექტურ რეალიზაციას.

შენიშვნა: დასრულებულია

7.6 სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის ეფექტურობის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საწყობების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის პროცესების ეფექტურობის გაზრდის მიზნით 2010 წელს სამტრედიაში და ახალციხეში ფუნქციონირება დაიწყო მომსახურების სააგენტოს სასაწყობე მეურნეობებმა, ხოლო თბილისში მდებარე სასაწყობე ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ავტოსადგომი, სადაც განთავსებულია სარეალიზაციოდ გამოტანილი ავტოტრანსპორტი. მყიდველებისათვის გამარტივდა ქონების დათვალიერების პროცედურა.

შენიშვნა: დასრულებულია

7.7 მოქალაქეთა საკონსულტაციო სერვის ცენტრი (დამატებულია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მოქალაქეთა საკონსულტაციო სერვის ცენტრის ამოქმედება თბილისში

პერიოდი: ივლისი - ნოემბერი

პროგრესი: მოქალაქეთა საკონსულტაციო სერვის ცენტრი შეიქმნა თბილისში (გულუას ქ. №4) მომსახურების სააგენტოს ელექტრონული რესურსებით სარგებლობის მხარდასაჭერად. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია ინტერნეტ აუქციონის წესებსა და პირობებზე, აგრეთვე ცენტრის კონსულტანტის დახმარებით გაიაროს რეგისტრაცია სისტემაში და მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში. 2010 წლის ნოემბერში სერვის ცენტრები გაიხსნა სამტრედიასა და ახალციხეში.

შენიშვნა: დასრულებულია

7.8 მოძრავი მაღაზია (დამატებულია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მოძრავი მაღაზიის ამოქმედება

პერიოდი: ივნისი - ივლისი

პროგრესი: რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მათთვის ხელმისაწვდომი რომ გამხდარიყო სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების შეძენა, სააგენტომ შეიმუშავა ახალი პროექტი "მოძრავი მაღაზია", რომელიც პერიოდულად მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ადგილზე ახორციელებს ქონების რეალიზაციას.

შენიშვნა: დასრულებულია

8. სასწავლო ცენტრი

8.1 ახალი სასწავლო ცენტრის ამოქმედება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: ახალ სასწავლო ცენტრში სასწავლო კურსების ჩატარება

პერიოდი: აპრილი - ივნისი

პროგრესი: 2010 წლის 26 აპრილს დაარსდა საფინანსო აკადემია, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო ივნისიდან. აკადემიის შენობა შემუშავებული გეგმის მიხედვით საჭიროებს შემდგომ რეკონსტრუქციას, რომლის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური მხარდაჭერის მოძიება. საფინანსო აკადემიაში საანგარიშო პერიოდში ტრეინინგი ჩაუტარდა 1395 ადამიანს. ხაზინის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საფინანსო აკადემიაში ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი მომზადება გაიარეს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური სამსახურის თანამშრომლებმა.

შენიშვნა: დასრულებულია

8.2 დისტანციური სწავლების პროგრამის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: დისტანციური სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით დაფინანსების მოპოვებაზე საპროექტო წინადადებების გაგზავნა დონორებთან

პერიოდი: აგვისტო - ოქტომბერი

პროგრესი: ივლისის თვიდან დისტანციურ სწავლების დაფინანსებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორებთან. დაფინანსების მოპოვების მიზნით წარდგენილ იქნა დონორებთან საპროექტო წინადადებები.

შენიშვნა: დასრულებულია

8.3 სასწავლო პროგრამების სტანდარტული პროცედურების ჩამოყალიბება და პროგრამების შემუშავების ახალი პროცესის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სხვადასხვა სასწავლო კურსების ორგანიზება

პერიოდი: ივნისი - დეკემბერი

პროგრესი: საფინანსო აკადემიამ ფინანსთა სამინისტროს სისტემიდან მიღებული დაკვეთა/მოთხოვნების გათვალისწინებით, ორგანიზება გაუკეთა და ჩაატარა შემდეგი სასწავლო კურსები:
- ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ტრეინინგი;
- ელექტრონული ბიუჯეტირება;
- ელექტრონული ხაზინა;
- შესავალი აუდიტში;
- სათამაშო ბიზნესის სფეროში გასაცემი ნებართვები;
- საბაჟო ღირებულებისა და კოდების განსაზღვრა;
- ეფექტური მომსახურება;
- საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ეფექტური მომსახურება;
- ტრეინინგები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთათვის.

შენიშვნა: დასრულებულია

8.4 სწავლების საერთაშორისო სტანდარტით "ADDIE" გათვალისწინებული პროცედურების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სწავლება ADDIE სტანდარტის მიხედვით

პერიოდი: მაისი - ივნისი

პროგრესი: ADDIE გათვალისწინებული პროცედურები მოიცავს მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე ჩასატარებელი კურსის შერჩევას, რის შემდეგაც ხდება კონკრეტული პროგრამის შემუშავება, განხორციელება და შეფასება. კურსის მონაწილეთა გამოკითხვას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

შენიშვნა: დასრულებულია

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (IPSAS)

1.1 IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის პილოტური ორგანიზაციების გამოვლენა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გამოვლენილი 11 საპილოტე ორგანიზაცია

პერიოდი: იანვარი - თებერვალი

პროგრესი: ბუღალტრული აღრიცხვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვის მიზნით განისაზღვრა 11 საპილოტე ორგანიზაცია: საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლი, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, სსიპ – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი, სსიპ – სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვის ინსპექცია. უწყებებს აღნიშნულის შესახებ ეცნობათ წერილობით და ყველა უწყებამ წარმოადგინა თანხმობა მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დასანერგად საპილოტე ორგანიზაციების სახით მონაწილეობაზე.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 პილოტური ორგანიზაციებისათვის ფორმებისა და მეთოდური მითითებების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საბჭოს ოქმი

პერიოდი: მარტი - დეკემბერი

პროგრესი: პილოტური ორგანიზაციებისთვის შემუშავდა ბუღალტრული აღრიცხვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დასანერგად საჭირო მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც დაეგზავნათ საპილოტე ორგანიზაციებს განსახილველად და შენიშვნების და წინადადებების წარმოსადგენად. აღნიშნული პროექტი ასევე განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს წევრების მიერ, საბჭოს მეორე სხდომაზე.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 საქართველოში სახელმწიფო სექტორის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის დადგენილება

პერიოდი: იანვარი - თებერვალი

პროგრესი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის" შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის №38 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო, როგორც საქართველოს მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო და დამტკიცდა საბჭოს დებულება. საბჭოს მიზანია საჯარო სექტორში ინფორმაციის სრულყოფა და საჯარო სექტორის ფინანსური მართვის გაუჯობესება. აგრეთვე სახელმწიფო ფინანსების მართვის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესისა და ნდობის ამაღლება.

საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პირველ სხდომაზე მოწონებულ იქნა IPSAS-ის დანერგვის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული 2010 წლის სამუშაო გეგმა.

მომზადდა ტექნიკური დავალება საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ვებ-გვერდის შექმნაზე, რომელიც ითვალისწინებს საბჭოს საქმიანობის გაცნობას ფართო საზოგადოებისთვის, IPSAS-ის ონლაინ სწავლებას და ა. შ. საანგარიშო პერიოდში მიღწეულ იქნა შეთანხმება მსოფლიო ბანკთან ტექნიკურ დავალებასთან დაკავშირებით და გამოცხადდა ტენდერი.

საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადდა სალაროს ორგანიზების შესახებ ინსტრუქციის პროექტი. შენიშვნებისა და წინადადებების წარმოსადგენად ინსტრუქციის პროექტი განსახილველად დაეგზავნათ ორგანიზაციებს. წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტი ჩამოყალიბდა საბოლოო სახით.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა ტექნიკური დავალება IPSAS-ის თარგმნაზე საკონსულტაციო ფირმის შესარჩევად და შეთანხმებულ იქნა მსოფლიო ბანკთან. საანგარიშო პერიოდში გადაიხედა შესყიდვის მეთოდი და განახლებულ იქნა შესყიდვის QCBS მეთოდის შესაბამისად.

საბჭოს მიერ მოწონებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავებულ იქნა ტექნიკური დავალება ტრეინინგის კონსულტანტის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკასო IPSAS-ის შესაბამისად აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას და ასევე ტრეინინგების საჭიროების და მოთხოვნილებების შესწავლის

დოკუმენტის მომზადებას. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ტექნიკური დავალება შესათანხმებლად გაგზავნილ იქნა მსოფლიო ბანკში.

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 მთლიან სახელმწიფო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ინსტრუქციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ინსტრუქციის პროექტი

პერიოდი: მარტი - დეკემბერი

პროგრესი: საანგარიშო პერიოდში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში, გაგრძელდა მუშაობა მთლიან სახელმწიფო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ფინანსური ანგარიშგების პაკეტისა და ინსტრუქციების შესამუშავებლად.

შენიშვნა: დასრულებულია

2. ინტეგრირებული სახელმწიფო ფინანსური საინფორმაციო სისტემის (PFMS) დანერგვა

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: PFMS-ის შესყიდვის პროცედურების ინიცირება, დემონსტრირება, მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე და ტენდერის გამოცხადება, ტექნიკური წინადადებების შეფასება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საბოლოო სახით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფინანსების ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ტექნიკური და ფუნქციონალური აღწერილობა, რომელიც გახდა სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველი. სატენდერო პაკეტი შეთანხმდა პროექტის დონორებთან და გამოცხადდა მოწვევა სახელმწიფო ფინანსების ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შესყიდვა-მორგება-ინსტალაციისათვის ინტერესთა გამოხატვაზე. ამასთან, მიღებული ხუთი ტექნიკური წინადადებიდან დემონტრაციების ეტაპზე დაშვებული იქნა 3 კომპანია, რომელთაც გამართეს თავიანთი მზა პროდუქტების სადემონსტრაციო ჩვენება PFMS–ის მომავალი ბენეფიციარებისათვის. ტექნიკური წინადადებებისა და დემონსტრაციების საფუძველზე სატენდერო კომისიამ დაიწყო მუშაობა ტენდერის პირველი ეტაპის შეფასების ანგარიშზე. მიუხედავად ტენდერის მიმდინარეობისა, სამინისტროში პარალელურად განიხილება წინადადება, რომელიც ითვალისწინებს PFMS-ის შიდა ძალებით განვითარებას. ამ მიზნით, მსოფლიო ბანკთან ერთად დაიგეგმა სისტემების საკუთარი ძალებით განვითარების შესაძლებლობების შესწავლაც. აღნიშნული შესწავლის საფუძველზე სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს სისტემების განვითარება შიდა რესურსებით, თუ ტენდერით შერჩეული კომპანიის მეშვეობით.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საკანონმდებლო ცვლილებები და პროგრმული უზრუნველყოფა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის დანერგვის წინაპირობა იყო შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა. ამ მიზნით, ცვლილებები შევიდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, რომლის თანახმადაც ელექტრონულად დადასტურებულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვთ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტებს. შემუშავდა და ამოქმედდა "სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის" ფუნქციონირების ინსტრუქცია. შემუშავდა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა. მომზადდა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში საბიუჯეტო ორგანიზაციების ჩართვის გრაფიკი, რომლის მიხედვითაც წლის ბოლომდე ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია ჩაერთო სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში, რის შედეგადაც ბიუჯეტიდან გადასახადების განხორციელება იწარმოება მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 სახაზინო სამსახურის არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ანგარიშგების მომცველობის გაფართოება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: განხორციელდა სახაზინო სამსახურის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალური გაფართოება და ახალი ფუნქციონალური მოთხოვნების საფუძველზე შემუშავდა ახალი და განახლებული მოდულები. აღნიშნული მოდულების ინტეგრცია მოხდა ხაზინის საინფორმაციო სისტემაში. ეს რეფორმა ხელს შეუწყობს ხაზინის მიერ სახელმწიფო ფინანსების მართვის ეფექტურად განხორციელებას და ყოვლისმომცველი ანგარიშგების წარმოებას.

შენიშვნა: დასრულებულია

3. საშუალოვადიანი კუპონური სახაზინო ობლიგაციების გამოშვება

3.1 საშუალოვადიანი კუპონური სახაზინო ობლიგაციების ემისია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დებულებაში ცვლილებების შეტანა და სახაზინო ობლიგაციების ემისია

პერიოდი: იანვარი - თებერვალი

პროგრესი: განხორციელდა ცვლილება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დებულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა საშუალოვადიანი კუპონური სახაზინო ობლიგაციების ემისიისა და ამ საკითხთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო ოპერაციების პროცედურების დამტკიცებას.

2010 წლის 10 თებერვალს წარმატებით განხორციელდა საშუალოვადიანი (2 წლიანი) სახაზინო ობლიგაციების პირველი ემისია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. აუქციონის პრინციპით გაიმარჯვა ორმა კომერციულმა ბანკმა.

შენიშვნა: დასრულებულია

IV - შიდა აუდიტი

1. შიდა აუდიტის ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბება და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული სისტემის შექმნა

1.1 სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტებისათვის IIA (შიდა აუდიტის ინსტიტუტი) სტანდარტებსა და ევროკომისიის პრაქტიკაზე დაფუძნებული შიდა აუდიტის სტანდარტების მომზადება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის განკარგულება

პერიოდი: მაისი - ივლისი

პროგრესი: ევროკომისიის ექსპერტის მხარდაჭერით მომზადდა შიდა აუდიტის სტანდარტების დოკუმენტი, რომლის პრეზენტაციას დაესწრენ არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და მედიის წარმომადგენლები. მომზადებული დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით (№1015, 30 ივლისი 2010) და იგი არეგულირებს შიდა აუდიტის სუბიექტების დებულების მოზადების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასა და სხვა საკითხებს.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 IIAდაყრდნობით შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის მომზადება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის განკარგულება

პერიოდი: ივნისი-ივლისი

პროგრესი: საქართველოს მთავრობის განკარგულებით (№1016, 30 ივლისი 2010) დამტკიცდა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 რისკის მართვის სახელმძღვანელოს მომზადება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი, იურიდიული დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: სექტემბერი - დეკემბერი

პროგრესი: ცენტრის მიერ მომზადდა რისკის მართვის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო მომზადებულია SIGMA, IPPF (IIA), UK და ავსტრალიის სახელმწიფო სექტორის რისკის მართვის სტანდარტებზე დაყრდნობით.

შენიშვნა: არ არის დასრულებული

1.4 შიდა აუდიტის დეპარტამენტების სახელმძღვანელო პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის განკარგულება

პერიოდი: მაისი - ივლისი

პროგრესი: მთავრობის განკარგულებით (№1013, 30 ივლისი 2010) დამტკიცდა "შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები" და მთავრობის განკარგულებით (№1014, 30 ივლისი 2010) დამტკიცდა "შიდა აუდიტის მეთოდოლოგია".

შენიშვნა: დასრულებულია

2. შიდა აუდიტის პროცედურების სრულყოფა და პრაქტიკული განხორციელებადობა

2.1 სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: იურიდიული დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პრეზიდენტის ბრძანებულება

პერიოდი: მარტი-მაისი

პროგრესი: საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 აპრილის №215 ბრძანებულებით შეიქმნა სსიპ – სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 ადგილობრივი მთავრობების ხელმძღვანელობის მოსამზადებელი ტრეინინგი სახელმწიფო შიდა აუდიტის საკითხებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: ტრეინინგის ჩატარება

პერიოდი: ივლისი

პროგრესი: ცენტრმა ჩაატარა ტრეინინგები სახელმწიფო შიდა აუდიტის საკითხებში. მონაწილეები იყვნენ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და თანამშრომლები. მონაწილეებს გააცნეს მიმდინარე რეფორმა და PIFC-ის კონცეფცია

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 სამინისტროების ხელშეწყობა შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: სამუშაო შეხვედრები

პერიოდი: აგვისტო

პროგრესი: ცენტრმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებთან შიდა აუდიტის სტანდარტებზე და მათი განხორციელების საკითხებზე

შენიშვნა: დასრულებულია

2.4 პილოტური აუდიტი ფინანსთა სამინისტროში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პილოტური აუდიტის დასკვნა

პერიოდი: სექტემბერი - ნოემბერი

პროგრესი: 2010 წლის 30 ნოემბერს დასრულდა ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შესაბამისობის (თემატური) პილოტური აუდიტი, 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელებისა და ინსპექტირების პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის კუთხით.
აღნიშნულთან დაკავშირებით შედგენილია 2010 წლის 30 ნოემბრის №06-03/11 შიდა აუდიტორული ანგარიში, რომელიც გაეგზავნა საქართველოს ფინანსთა მინისტრს და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

შენიშვნა: დასრულებულია

2.5 ტრეინინგი რისკის მართვის მეთოდოლოგიაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: ტრეინინგი

პერიოდი: სექტემებერი

პროგრესი: სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა რისკის მართვის მეთოდოლოგიაში ტრეინინგი ჩაუტარა ყველა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებს

შენიშვნა: დასრულებულია

2.6 სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლიკვიდაცია და შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს შექმნა (დამატებულია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: იურიდიული დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ კანონის ცვლილება, მთავრობის დადგენილება

პერიოდი: სექტემებერი - ნოემბერი

პროგრესი: სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ კანონში შევიდა ცვლილები, რაც განაპირობა კანონში გარკვეული საკითხების დაზუსტების აუცილებლობამ და ასევე სსიპ – სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის გაუქმების დღის წესრიგში დაყენებამ.

სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი შეიქმნა 2010 წლის 1 მაისს, რომელსაც „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების“ შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მთელი რიგი სამართლებრივი აქტებისა და სხვადასხვა მეთოდოლოგიური მითითებების პროექტების მომზადება ევალებოდა. ცენტრის მიერ მომზადებული იქნა, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა შიდა აუდიტის სტანდარტები და მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ მთავარ დოკუმენტებს შიდა აუდიტის განხორციელების სფეროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა მთავარი დოკუმენტების მომზადება და შემუშავება. აქედან გამომდინარე, 2010 წლის 26 ოქტომბრის №395 დადგენილებით განხორციელდა სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლიკვიდაცია და 2010 წლის 9 ნოემბრის №345 მთავრობის დადგენილებით შეიქმნა შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო, რომელსაც შიდა აუდიტის სუბიექტები ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშგებებს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და რომელიც გააგრძელებს მუშაობას აღნიშნული სფეროს ჰარმონიზაციისა და დახვეწის კუთხით.

ამასთან, საბჭოს შემადგენლობას, მისი საქმიანობის სფეროს და ძირითადი მიმართულებებს, მის ფუნქციებს, გადაწყვეტილების მიღების წესს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული საბჭოს დებულება. საბჭოსთან შეიქმნა ასევე საბჭოს სამდივნოც, რომლის შემადგენლობაც დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

შენიშვნა: დასრულებულია

V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

1. საინფორმაცო ტექნოლოგიების გაუმჯობესება და განვითარება

1.1 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კადრების სამსახურის მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში

პერიოდი: იანვარი - ივნისი

პროგრესი: ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და დაინერგა საშტატო განრიგის კლასიფიკაციის მოდული, პერსონალური ჩანაწერები თანამშრომლების შესახებ, დანიშვნა-გათავისუფლების მოდული

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამწლიანი სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: აპრილი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამწლიანი სტრატეგიის პროექტი, რომელიც საჭიროებს გადამუშავებას განხორციელებული რეორგანიზაციის (ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს შორის IT ფუნქციების გამიჯვნა) გათვალისწინებით. განისაზღვრა სტრატეგიის მიმართულებები და ამჟამად მიმდინარებოს მისი დანერგვა.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის პროექტის შემუშავება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შემუშავებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის პროექტის თავდაპირველი ვერსია

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 მონაცემთა უსაფრთხოების და სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრის დაპროექტება და მისი ამოქმედებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა (BCC-DRS), არსებული ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საანგარიშო პერიოდში შეირჩა ადგილმდებარეობა და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, სადაც განთავსდება ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრი. აღნიშნულ ცენტრში უნდა მოხდეს სამინისტროს სერვერებზე არსებული ინფორმაციის დუბლირება. გამოცხადდა ტენდერი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შესყიდვაზე. აგრეთვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ტექნიკური აღჭურვილობის (სერვერები) მოწოდებაზე. ცენტრი სრულად ამოქმედდება 2011 წელს.

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის შექმნა **(დამატებულია)**

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის შემუშავება და ტესტირება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემა. აღნიშნულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრეინინგი. 1 დეკემბრიდან ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სახაზინო სამსახურის ცენტრალურ აპარატში საქმისწარმოება გადავიდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაზე.

შენიშვნა: დასრულებულია